N1894 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაგბის სპორტული კომპლექსის მშენებლობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიეცეს უფლება სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდს, უზრუნველყოს აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების, ასევე პროექტირებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**